

კთხაწარი საფეხბურთო სკოლა

ფასი 50 თეთრი №11

23 - 30 აპრილი

2018 წელი

ბათუმის სამშაბათობი

**ჯედალ
ბერსამია:
„პორტი
გაიყიდა ერთი
აგნის ფასად,,**

33. 3


**„როდესაც
ხალხზე ხომ
უნდა იფიქროს
ვინაშე?..,,**

33. 3

**„ზეიტერ
საქართველო,,
- მითი თუ
რეალობა**

33. 4

**უნე ჯარ ებ არ
ბინახავს?**



ამ გვირგვინი ჩვენ
www.msnews.ge

**„რადან ორ კვირას ვაკეთებ,
იმათაც მართებენ და თქვენთან
ლაპარაკის თავი მაქვს?..
აიჩრქალება თუ არა გარეგანობა ფოთში?**



ივაზა ავაქორია
ფოთი

ადგილობრივი მთავრობა, უკვე მერამდენედ, გარე-
ვაჭრობის მოწვევას ცდილობს - გააფრთხი-
ლეს ის მოვაჭრეები, რომლებსაც მაღაზიების წინ
განთავსებულ დახლებზე აქვთ სარეალიზაციოდ
საქონელი გამოტანილი. იმ შემთხვევაში, თუ ისინი
თვითნებურად გაკეთებულ დახლებს არ დაშლიან
და საქონლის რეალიზაციას სავაჭრო ფართებში
არ გააგრძელებენ, მათ მიმართ საჯარიმო სანქციები
ამოქმედდება.

ზედამხედველობის სამსახურის უფროს დავით

ჯგერენიას თქმით, მათი მიზანია არა მოვაჭრეების
დაჯარიმება, არამედ გარევაჭრობის მოწვევით,
მაგრამ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, იძულებ-
ულები იქნებიან, ამოქმედონ სანქციები. ადგილო-
ბრივი ხელისუფლების პრინციპულობის არ ჯერათ
მოვაჭრეებს, რადგან გარევაჭრობის აკრძალვის მც-
დელობა პირველი არ გახლავთ. ვაჭრები გარემო-
ვაჭრეების აკრძალვაში ბაზრის დირექციის ინტერე-
სებსაც ხედავენ. ადგილობრივი ხელისუფლებაც და
ბაზრის დირექცია კი გარევაჭრობის აკრძალვის აუ-
ცილებლობაზე საბრძენ. ფაქტი კი ერთია - ბაზარ-

დასასრული 2-33.

**ბულინგი -
თანამედროვეობის
პრობლემა**

33. 5

**ჯული
ქილიფთარი:
„ცხოვრებაში
სირთულეების
არ მეშინია,,**

33. 6

ბამონცხევილი ლა
დორეკტორი,
მინისტრი რედაქტორი
068ა მზახალია -
599 341 417;
068ა მზახალია
რედაქტორი
033ა პაპკორია -
597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯანაშია -
579 24 11 22

თეატრ მატაპაზა
(ფოტო)
568 74 41 12

033ა პაპკორია
(ხობი)
597 97 76 18

ბამონცხევილი
მასალის შინაარსი
შეიქმნება არ
ემთხვევოდეს
რედაქციის
თვალსაზრისს.
სტატიის ავტორები
თავად აბეზენ კა-
სუსს 0680რედაქციის
სივსტემაში.
რედაქციაში ავტომატურ
მასალაში ინახება
ორი კვირის
ბანაკაში, ამ პერიოდის
შედეგად კომპიუტერი
არ მიიღება.

ბამონცხევილი
მასალის
ბალანსირება
რედაქციის
ნებართვის
ბარში
აპრიალშია.

„რადაც ორ კვირას ვაქეთებ, იმასაც მართებენ და თქვენთან ლაპარაკის თავე მიქვს?.. აიკრძალება თუ არა გარეგანობა ფოტოში?“

ლასანისი პირველი გვიარსა
ში გზა გარემოვაჭრებს იმდენად
დავიწროებული აქვთ, ორი ადამიანი
ერთმანეთს მხოლოდ გვერდის აქცე-
ვით თუ ჩაუვლიან. ბაზრის შიგნით
ნახევრული გზის უკან ყველაგან მა-
ლაზიებია, ხოლო რიონის პირას გა-
რემოვაჭრებსა და ბაზრის კედელს
შორის, სადაც ისინი დგანან, საკმაოდ
მანძილია, გარემოვაჭრების შეწყე-
ვის შემთხვევაში აქაც მანქანა და
ადამიანი მშვიდობიანად გაივლიდა.
ადგილობრივი ხელისუფლების მოთ-
ხოვნის შესაბამისად, შპს „ლუკას“
დირექციამ მის ტერიტორიაზე გა-
რემოვაჭრებს ბაზრის შენობაში
გამოუნახა ადგილი და ამჟამად რი-
ონის სანაპირო გარემოვაჭრებისა-
გან განთავისუფლებულია, თუმცა,
მოვაჭრებმა ადგილობრივ თვით-
მმართველობას პირობა წაუყენეს
- თუ თვის ბოლომდე სხვა გარემო-
ვაჭრები ბაზარში არ შევლენ, ისინი
კვლავ გარეთ გამოვლენ. მაღაზიებში
მოვაჭრების თქმით, თუ მოთხოვნა
ყველა მოვაჭრისათვის ერთიად იქნა,
არ იმოქმედებს „ნაცნობ- ნა-
თესაობის“ ფაქტორი და ყველა მო-
ვაჭრე მაღაზიაში შევა, მაშინ მოთ-
ხოვნას თვითონაც დაემორჩილებიან.
ზოგადად, მოვაჭრე - „რამდენჯერ უნდა
აგვეარონ? შარშანაც ასე იყო, შე-
ვიწიე უკან, მაგრამ ერთ კვირაში
ჩემს გვერდით მაღაზიის მეპატრონემ
კვლამ გარეთ გამოიტანა საქონელი.
რა შექნა? მეც გარეთ გამოვიწიე. თუ
კანონია, ყველასთვის ერთნაირად
იყოს. ზოგს მერიაში გამოუწინდა ნა-
თესავი, ზოგს „ნათლია“. ასე როგორ
შეიძლება?“
გაცილებით რთული სიტუაციაა გა-
რემოვაჭრებთან. მათი თქმით, პრო-
ბლემას გადასახადიც წარმოადგენს.
მადონა, ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე
- „ბაზარში გადასახადი მეტია. თა-

ნაც, შიგნით ყველა არ შემოდის და ჩვენ წაგე-
ბული ვრჩებით. რამდენჯერ შევედით, მაგრამ
ყველა არ შემოვიდა და ისევ გამოვდით გა-
რეთ. ახლაც ასე მოხდება - თუ ყველა
არ შევა, ერთ კვირაში ჩვენც გამოვალთ და
მერე არავინ გაბედოს თქმა - ადგილი აქე-
დნო. თეატრთან თუ შეიძლება გარეგანობა,
მაშინ ბაზარშიც დასაშვებია უნდა იყოს.
ამ მოთხოვნით ჩვენ დაგვწერეთ წერილი და
გავაგზავნეთ კიდევ. არ დამთავრდა ამით
კაპრიზები. გარეგანობის მეტი ფოტოში ყვე-
ლაფერი მოწესრიგებული აქვთ? ხალხი დაკ-
მაყოფილებული ყავთ და მარტო ეს დარჩა
მოსაწესრიგებელი თუ რა ხდება? მოეშვან
გაჭირვებულ ხალხს. ან ყველასთვის ერთი
უნდა იყოს კანონი“.
გარეგანობის აკრძალვა მიუღებელი აღ-
მოჩნდა პურის მოვაჭრებისთვისაც. გასუ-
ლი წლის მორიგი აკრძალვის დროს ბაზრის
ადმინისტრაციამ ბუტონის საფარი დააგო.
ხელახლებული დახლების შემთხვევაში ვაჭრების
ნება დართო. დღეს კვლავ აერთიანებენ.
რას ფიქრობდნენ შეზღუდვაზე მოვაჭრები?
ამის გაგება ცოტა რთული აღმოჩნდა, მო-
ვაჭრებმა დაგვწერეს აგრესია მთლიანად
ჩვენსკენ მომართეს: „ჯერ აგვეარეს, მერე
გვეთხრეს - დაჯექით და ივაჭრეთო. ეს ჯიხუ-
რები გაგაკეთეთ და ახლა ისევ უნდა აგვე-
არონ. ეს ყველაფერი ბაზრის ადმინისტრაციის
ინტერესებში შედის. უნდა ყველა ბაზარში
შეიყვანოს, რადგან იქ გადასახადი მეტია და
ეს უნდა მათაც?“
ჩვენთან საუბარი მეორე მოვაჭრისათვის
მიუღებელი აღმოჩნდა და ჩვენთან საუბრის
მსურველი აშკარად აუკრძალა. „გადილო-
ლით ვვივარ აქ, რადაც ორ კვირას ვაკეთებ,
იმასაც მართებენ და თქვენთან ლაპარაკის
თავე მიქვს? წადით აქიდან“- გაგვიბრაზდა
ქალბატონი.
თუ მოვაჭრებისგან ჩვენს მისამართით
უსაფუძვლო აგრესიას ყურადღებას არ მი-
ვაქცევთ, ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუ-
ფლების წარმომადგენელი ადამიანების გა-
ჭირვებით არ უნდა ვაჭრობდეს და კანონმაც

ყველასათვის ერთნაირად უნდა იკანონოს. მეორე
საკითხია, რამდენად მისაღები და დასაშვებია ღია
ციხის ქვეშ გაყვანილი პური, მით უფრო, როდესაც
პურისთვის განკუთვნილი ყუთები ღია მანქანა-
ლა ძაღლების თავშესაფარი ხდება, რაც ცოტა არ
არის ჩვენს ქალაქში, თუმცა ეს სულ სხვა თემაა.
შპს „ლუკას“ დირექტორ ნოდარ კორსანტიას
თქმით, თუ მათ ადგილს გამოუყოფენ, ისინი ვალ-
დებულნი იქნებიან, გაუკეთონ კეთილმოწყობილი
სათავსოები. რაც შეეხება გადასახადს, კორსანტი-
ას თქმით: „გარეთ გადასახადი გაცილებით მეტია,
შიგნით კი მხოლოდ 3 ლარია. თუ ასე ვიმსჯე-
ლებთ, მათი აქ შემოსვლა ჩემთვის წამგებიანიც
კია, მაგრამ ხომ უნდა მოწესრიგდეს ბაზრის ტერი-
ტორია? ყველა ქალაქში მოწესრიგდა გარეგანობა.
ჭიშკარი გასულ წელს გავაკეთეთ. თუ გზას
გაათავისუფლებენ, მემორანდუმის ფარგლებში ბე-
ტონის საფარს დაგვავებ და კართანაც წარწერა
და განათებები უნდა გავაკეთდეს“.
კორსანტია საგაჭრო ცენტრ „პასაჟში“ სამი თვის
განმავლობაში უფასოდ, ხოლო მომდევნო სამი
თვე მინიმალურ ფასად მიაქირავენ სამარშუტო
ტაქსების განქირებასთან მდგომარეობაში ბაზრის
საგაჭრო ცენტრში გადასახადი 160 ლარს შე-
ადგენს: „თუ მოეწონებათ, 3 თვე უფასოდ, მომდევნო
სამი თვე კი მხოლოდ საგადასახადოს გადასა-
ხადს გადაიხდიან. მეტი როგორ დაგვიხმარო?“
კორსანტია ასევე უფასოდ საღვთის სთავაზობს
სოფლის ავტობუსების მძღოლებს: „სოფლის
ავტობუსები რომ ჩამოდიან, მოვაჭრები ხვდებიან
და ისეთი აურზაურია, მეტი არ შეიძლება. ძალიან
არასასიამოვნოა ჩამოსული სტუმრისთვისაც და
ნებისმიერი ადამიანისთვისაც. სათვეზე გვერდით
არის ადგილი და უფასოდ დადგენენ აქ, ყოველგვა-
რი ანაზღაურების გარეშე, მთავარია, გლეხი კომ-
ფორტულად შემოიყვანოს. მათ ექნებათ გაფორ-
მებული ხელშეკრულება, ვისთანაც ქონდათ, ამავე
დროს ბაზრის ტერიტორიაზე უფასოდ დადგები-
ან“.
შეძლებს თუ არა ამჯერად მაინც ადგილო-
ბრივი ხელისუფლება გარეგანობის აკრძალვას
და ბაზრის ტერიტორიის მოწესრიგებას, მალე
გაირკვევა. თუმცა ფაქტია, რომ მოვაჭრებში უნ-
დობლობა დიდი ხნის დათესილი აქვთ.

თეატრების საერთაშორისო ფესტივალს ფოთი მეოთხედ უმასპინძლებს

თეატრ მატაპაზა ფოთი

21 - 30 ივლისს ფოთი ქართვე-
ლი და უცხოელი თეატრების
ყურადღების ცენტრში მეოთხედ
მოექცევა. მიხედვით თეატრის
ირგვლივ არსებული პრობლემე-
ბისა ქალაქი, წელსაც რეგიონუ-
ლი თეატრების საერთაშორისო
ფესტივალს უმასპინძლებს.
მასში მონაწილეობას მიიღებენ,
როგორც საქართველოს სხვა-
დასხვა კუთხიდან, ისე ინგლისი-
დან, პოლონეთიდან, უკრაინიდან,
ლიტვიდან და რუსეთიდან ჩამო-
სული დასები. მასტერკლასებს
გამართავენ მსოფლიოს ცნობი-
ლი თეატრმცოდნეები.
თეატრების საერთაშორისო
ფესტივალის საქართველოს
კულტურისა და სპორტის სა-
მინისტროსა და ქალაქ ფოთის
მუნიციპალიტეტის მერიის მხარ-
დაჭერით ტარდება.
საორგანიზაციო საკითხებთან
დაკავშირებით, ქალაქ ფოთის
მერი გონა კურდღელია ფესტი-
ვალის ორგანიზატორს, კულტურ-
ულ-საგანმანათლებლო ფონდ
„დღეს“ დირექტორს, ნინელი
ჭანკვეტაძეს უკვე შეხვდა.
როგორც იცით თეატრის შე-
ნობაში არსებული მდგომარეო-
ბა სავალალოა და აღნიშნული
მდგომარეობა სასწრაფო გა-
მოსწორებას საჭიროებს. თან-
ხების მობილიზება დროულად
ვერ მოხერხდა იმის მიუხედავად,
რომ ყველა ერთხმად შეთანხმ-

და მდგომარეობის გამოსწორებაში
ხართულობა იქნებოდა მაღალი. მე-
რის მოადგილე, გიორგი ფარეშიშვი-
ლი როგორც ამბობს, საქართველოს
ხელისუფლება და ადგილობრივი
მმართველობა დიდ ყურადღე-
ბას უთმობს, რათა რაც შეიძლება
დროულად მოგვარდეს თეატრში
არსებული ინფრასტრუქტურული
პრობლემები: „ქალაქის მერიამ
საკრებულოსთან ერთად ძალიან
ეფექტურად იმუშავა, შესაძლებლო-
ბებიდან გამომდინარე, რაც შეი-
ძლება დროულად გამოყოფილიყო
საექსპერტო თანხები, რადგან ეს არ
არის მარტივი საქმე, როგორც „გა-
რედან“ შეიძლება მოეწვენოს ადა-
მიანს. გაწერილი არ გახლავთ
ბიუჯეტით და მოგესხენებათ, ფო-
თის ბიუჯეტი არ იძლევა საშუა-
ლებას, ნებისმიერ დროს თუნდაც
ერთი ლარი გამოვეთ გაუთვა-
ლისწინებელი ხარჯისთვის. ამის
ფონზე ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ
რათა დროულად გამოყოფილიყო
თანხა. ამას აქვს პროფესიული
სახე, როცა ხდება თანხების მობი-
ლიზება. შემდეგ ხდება საფინანსო
სამსახურთან შეთანხმება, საკრე-
ბულოს შესაბამის კომისიაზე გა-
ნიხილება და დასკვნა მიიღება. ამ
პროცედურებს აწესრიგებს კანო-
ნი, რაც გულისხმობს სატენდერო
ტექნიკური წინადადებების მომზა-
დებას, ტენდერის გამოცხადებას და
ამ ტენდერს აქვს ვადა. სამწუხა-
როდ, ხელ-ფეხი შეკრული გვაქვს -
არსებული კანონი უნდა დაიცვათ
და მივეყვით მას. გვაქვს ძალიან
კარგი კოორდინაცია თეატრის
ხელმძღვანელთან და ერთობლივად

კულტურისა და რეგიონული ინფრას-
ტრუქტურის სამინისტროებთან, რათა,
რაც შეიძლება დროულად შეფასდეს
თეატრის მდგომარეობა და დაიწყოს
პრობლემის მოგვარებაზე მუშაობა“.
საზოგადოებაში არსებული მოსაზრე-
ბა, რომ წელს ფესტივალი არ ჩატარ-
დება ფოთში ფარეშიშვილი ამას
კატეგორიულად უარყოფს და გან-
მარტავს: „აღნიშნული ფესტივალის
სხვაგან ჩატარების საკითხი არ გა-
ნიხილება. ფოთში შერჩევის ფაზაშია
რამდენიმე ლოკაცია, სადაც იგეგმე-
ბა სპექტაკლების ჩატარება“. მერის
მოადგილე ასევე იმედოვნებს, რომ
დროულად შეკეთდება დაზიანებული



კერები და დაგეგმილი ღონისძიებები ჩა-
ტარდება თეატრში.
როგორც უკვე ცნობილია თეატრის შე-
ნობის ექსპერტის ჩატარებაზე ტენდერ-
ი გამოცხადდა. საკონკურსო პირობე-
ბის მიხედვით, გამარჯვებულმა კომპანიამ
უნდა ჩატაროს ვიზუალური ექსპერტი-
ზა, ფასადის, ფუნდამენტის, შადრევნის,
შიდა ინტერიერის, კომუნიკაციებისა და
უსაფრთხოების სისტემის შესწავლა და
წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღ-
რიცხვო დოკუმენტაცია. რისთვისაც მას
45 დღის ვადა მიეთითა. საპროექტო სა-
მუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტი და-
ფინანსებს.

„ზეიტერ საქართველო, - მითი თუ რეალობა“

თაკა მამაკაძე ფოთი

საქართველოს საგრანტო „ბაზარზე“ ახალი ორგანიზაცია - „იდეების განვითარების ფონდი“, იგივე „ზეიტერ საქართველო“ გამოჩნდა. როგორც ორგანიზაციის დამფუძნებლები ამბობენ, იგი იდეების განვითარებას უწყობს ხელს. სხენებული ორგანიზაცია დაფუძნდა 2017 წლის ივნისში ამერიკაში მოღვაწე ქართველის დავით კარტოზიას მიერ. მოკლე დროში ორგანიზაციამ სოციალურ ქსელში დიდი ხმაური გამოიწვია - მას დიდ აფერას და სიცრუეს უწოდებენ, თუმცა არიან გულშემატკივართა ჯგუფი, რომლებიც მოთმინებით ელოდებიან გრანტის გამოყოფას.

ამ ფონდის თუ ორგანიზაციის შესახებ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთმა რესპონდენტმა დიდი სიხარულით და შემართებით გვამცნო. გვითხრა, იგი მიმართულია უბრალო, ჩვეულებრივი მოქალაქის, გლეხის ინტერესების, იდეების განვითარებისა და შეტყობის კარგი მომავლის უზრუნველყოფისკენ. თან დაგვაკავშირა ჩვენს ქალაქში ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთან, რომელსაც შევეხვედით, მოუხმინეთ და, ცოტა არ იყოს, პესიმისტურადაც განვქვეყნეთ. მოწვეული პიროვნება გააკვირვა, უფრო სწორად დააბნია დასმულმა კითხვებმა და გაგვიჩვენა კიდევ-გადავწყვიტო მოგვეძებნა ადამიანი, რომელიც უშუალოდ დავით კარტოზიასთან დაგვაკავშირებდა. მივაგენით კიდევ ნინო ქობალიას, რომელიც „ზეიტერ სამეგრელო-ზემო სვანეთის“ დირექტორი აღმოჩნდა. იგი დახმარებას დაგვირბოდა კარტოზიასთან დაკავშირებაში, მაგრამ სხვადასხვა საათობრივ სარტყელის გამო ჯერჯერობით მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. იმედს ვიტოვებთ, შემდეგ ნომერში შემოვთავაზებთ მასთან ინტერვიუს.

სოციალურ ქსელში ხშირად ვრცელდება ვიდეო მიმართვები აღნიშნული ორგანიზაციის დამფუძნებლის დავით კარტოზიასგან. ერთ-ერთ გამოქვეყნებულ ვიდეომიმართვაში კარტოზია როგორც



აცხადებს, ორგანიზაციის მიზანია ამერიკის მთავრობის მიერ გამოყოფილი საგრანტო პროგრამის არსის ძირეული შეცვლა, ანუ გამოყოფილი საგრანტო თანხის 100% საქმეს რომ მოხმარდეს. როგორც ჩვენთვის ცნობილია წელიწადნახევარია ორგანიზაცია იღებს იდეებს, თუმცა დაფინანსება აქამდე არ მოხდარა არც ერთი განაცხადის, რასაც სოციალურ ქსელში ამით უკმაყოფილო ადამიანების კომენტარების სიმრავლეც ადასტურებს. ჩვენთან საუბრისას ქობალიაც იმავეს გვიდასტურებს.

სოციალური ქსელიდან მოვიძიეთ ადამიანები, რომლებმაც 2-2 განაცხადი გააკეთეს სოფლის მეურნეობის კუთხით, რაშიც გადაიხადეს 10-10 ლარი, თუმცა მათთან დღემდე არავინ მისულა არც მონიტორინგზე და არც გასაუბრებაზე. როგორც ისინი ამბობენ, ეს თანხები „წყალში“ გადააყრილია. მათ მსგავსად ფიქრობს უამრავი ადამიანიც. ქობალიას განმარტებით კი დაწესებული თანხა, თურმე, ერთჯერადი საწვერო შესატანია და ითვალისწინებს მათი იდეის მომსახურებას. ორგანიზაცია მხოლოდ იდეის მიწოდებას ითხოვს, რადგან ბიზნეს-გეგმის დაწერა დიდ თანხებთან და ცოდნასთანაა დაკავშირებული. მისივე თქმითვე პირველი ეტაპი დასრულებულია მაშინ, როდესაც შემოვა დაფინანსება - გრანტი. თუმცა იქვე ვერ გვიკონკრეტებს თუ როდის მოხდება თანხების გაცემა. მისი განმარტებით პროექტების იდეების მიღება არ დასრულდება, უბრალოდ ის 10 ლარი, რომელიც

შიდა ხარჯებისთვის იყო გათვალისწინებული, აღარ გახდება მისი გადახდა სავალდებულო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ფონდის ირგვლივ სოციალურ ქსელში დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ფაქტია, ამ ადამიანების ჯგუფმა მთელი საქართველო მოიცვა - ზოგი კარტოზიასა და მათ დაწვეულ საქმეს ლოცავს და ლამის საქართველოს ხსნად, მეორე მხარით, ზოგი აფერისტს და მთელ ამ საქმეს აფერას უწოდებს.

კიდევ უფრო ამაფრებს ეჭვს ის ფაქტი, რომ ასევე სოციალურ ქსელში გამოჩნდა მსგავსი დასახელების ორგანიზაცია, რომელიც თაღლითურ სქემებში აღნაშაულებს აღნიშნულ ორგანიზაციას და მოსახლეობას მოუწოდებს, არ ჩაერთონ ამ დიდ ტყუილში. ამ ყველაფერს ისიც დამატა, რომ ისევ სოციალურ ქსელშივე გამოჩნდა ახალი კარტოზიას მიმართვები, სადაც ამბობს ორგანიზაციის შიგნით არსებულ დარღვევებსა და თაღლითურ სქემებზე კერძოდ რუსთავესა და ზუგდიდში დაიკარგა სია, ანუ მონაცემთა ბაზა, და თანხები. ქობალიას განცხადებით აღნიშნულზე საქმე აღძრულია პროკურატურაში. მიმდინარე პროცესებს ქობალია მიხანმიმართულ კამპანიად მიიჩნევს და ამბობს, რომ მისი მისამართითაც ხორციელდებოდა შანტაჟის შემცველი ზარები.

დასასრული 5-გვ.

ჯემალ ბერსაშია: „პორტი გაიყიდა ერთი ანის ფასად,“

დასაწყისი 3-გვ.

დღეს, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მე მოვიწვიე ადრე „ოლკომში“. გამოსავალი იმ შემთხვევაში იქნება მოძიებული, თუ მათი ხელმძღვანელი, ანუ მე, დართავდა ნებას, დათანხმდებოდნენ შეთავაზებას. ჩამოვიდა ქართული დელეგაცია მათ ჩამოყვანს სპეციალისტები და მკითხეს, რა გავაკეთოთ. აინტერესებდათ ჩემი აზრი. დავრთვე ნება იმ პირობით, რომ ხელმოწერისას, საბუთებთან სიფრთხილე გამოეჩინათ, რადგან ისეთ ხალხთან ჰქონდათ საქმე, რომლებმაც არ იცოდნენ, რა როგორ გააკეთებინათ. დაიწვეს კონცეფციაზე მუშაობა, რომელშიც პორტი იხდიდა პროექტებისთვის მილიონ 800 ათას დოლარს, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ნაშრომს დღის სინათლე არ უნახავს და სამუდამოდ არქივში დაიდო ბინა. შევარდნადის პრეზიდენტობის პერიოდში დაიწყო პორტის მზადება განსხვავებისთვის. გეგმის მოადგილედ დაინიშნა დევი გვალია, რომელმაც ამ პროცესებს ბრწყინვალედ შეუწყო ხელი. რას ნიშნავს ეს? უნდა გამოეცხადებინათ, თითქოს ფოთის პორტი არარენტაბელურია, არაპერსპექტიულია. ყოველივე ამასვე მე ხმამაღლა ვლაპარაკობდი, არ ვერიდებოდი პრესასთან ურთიერთობას, რის გამოც „კეთილისმსურველმა“ მირჩია სიფრთხილე გამოემჩინა, რომ არ დავეხვრიტეთ ან არ დავეჭვირეთ, თუმცა ჩემი სახლი სამეგრელო დაცხრილეს. ამიტომ მივმართე ხერხს, რომელიც ჩემმა მეგობარმა მირჩია - ღია წერილი მიმეწერა შევარდნადისათვის და ჩემი აზრები იქ ცხადად გამომეხატა. მერე დაიბეჭდებოდა გაზეთში და „ცხლად“ შევიღოდა შევარდნადისთან. ეს გავრცელდებოდა და გარკვეული დახვეწა იქნებოდა ჩემი სიცოცხლისათვის, მაგრამ შემდეგ გამათავისუფლეს დაკავებული პოზიციიდან არაკომპეტენტობის მომიზეხებით, რაც ძალიან სასაცილო საბაბი გახლდათ. მით უფრო, როდესაც სასამართლოს ყველა ინსტანციამ გამამართლა და პორტს დაევალა აღვედგინე ძველ თანამდებობაზე, რაც ასე

არ მოხდა. ეს საქმე დღეს სტრასბურგის სასამართლოშია. ვითხოვ ქვეყანამ კეთილი ინებოს და შეასრულოს სასამართლოს განაჩენი.

- როდის მოხდა პორტის განსხვავება და რა შედეგები მოუტანა ქალაქს?

-ჯემალ ინიშვილის ხელმძღვანელობის დროსაც გავრცელდა დაწვებული „ამოცანები“, რაც მან ბრწყინვალედ განახორციელა. 2006 წელს შედგა მსოფლიო სიმპოზიუმი იახტ კლუბის ტერიტორიაზე, რომელსაც ხელმძღვანელოდა დევი გვალია. დევი გვალია დღესაც მუშაობს ფოთის პორტში, და იკავებს მრეწველის პოზიციას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა პორტის დაკნინებაში, მიუხედავად ამისა 2016 წელს ქალაქის საპატიო მოქალაქედ იქნა არჩეული. სიმპოზიუმი ეხებოდა ფოთის პორტის მომავალს. ძალიან ცუდი ვითარება იყო შექმნილი, თუმცა არც დღეს გახლავთ სახარბიელო და იმედის მომცემი. გააკეთეს ეს სიმპოზიუმი და აზრზე არ იყვნენ, რას აკეთებდნენ. მე მათ მიუხვდით ჩანაფიქრს და მათ გამოფინას პორტის განვითარების შესახებ, ქვევით ჩემი ხედვით შექმნილი ალტერნატიული გეგმა გამოფინებ, მიუხედავად იმისა, ვიცოდი, დანახვისთანავე ჩამოხსნიდნენ და ასეც მოხდა. ამ სიმპოზიუმის მიზანი იყო, მთელ მსოფლიოს ენახა, რომ ფოთის პორტის განვითარება არაპერსპექტიულია. დასკვნა დადეს, რომ მას არაფერი ეშველება. ამის შემდეგ პორტი გაიყიდა ერთი ამწის ფასად.

-რა გავლენა მოახდინა პორტის გაყიდვამ ქალაქის ეკონომიკურ მდგომარეობაზე?

-საქართველო არის საზღვაო ქვეყანა. გვაქვს პორტი, ვართ საზღვაო-სატრანსპორტ დერეფანი, აბრეშუმის გზა აქ გადიოდა. მაგრამ როგორი კარიბჭე ხარ, თუ ამ კარიბჭის გასაღები სხვას ჩაუვსო ხელში? პორტი რომ დაინგრა (და ეს პროცესები დღესაც გრძელდება), ქალაქიც დაინგრა, ჩამოიშალა, რადგან აშენდა პორტი და შემდეგ იყო და არა პირიქით. სასიცოცხლო ძარღვია პორტი ფოთისთვის.

„როდესმე ხალხზე ხომ უნდა იფიქროს პინეა?...“

დასაწყისი 3-გვ.

არანაირ პრობლემას ვერ ვხედავ“. შონიას თქმით მას ხელშეკრულება დადებული აქვს სხვადასხვა ქალაქების ავტოსადგურებთან.

კანონმდებლობა არ ზღუდავს ქალაქში სადგურის რაოდენობას, თუმცა სადგურის წესდებაში წერია, რომ ერთი სადგურიდან მეორემდე 500 მეტრი დაშორება უნდა იყოს. რეალურად, ავტოსადგურები ერთმანეთს 500 მ-ზე მეტით არიან დაშორებული. თუმცა თუ გავითვალისწინებთ თვითნებურად შექმნილი ორი სადგური: ბათუმის და სოფლის ავტობუსების, რომლებიც ბაზრის წინ, პარკირების ადგილას დგებიან, საკმაოდ ახლოს მდებარეობენ ერთმანეთისაგან. შპს „ფოთის“ დირექტორის ლევან ციკოლიას თქმით: „ჩვენ გავითვალისწინეთ მგზავრების პრობლემა, რომ მათთვის ძნელი იქნებოდა ბაზრიდან აქ მოსვლა და ამიტომ პარკირების ადგილი დავუთმეთ. მხოლოდ, მძღოლები ვალდებულნი არიან, გასვლამდე ნახევარი საათით ადრე შემოვიდნენ სადგურში“. ეს პასუხი გამაღიზიანებელი აღმოჩნდა აშორდიასათვის: „მაგას ფოთის მიწა თავისი ხომ არ ჰგონია“ რა უფლებით აყენებს პარკირების ადგილას ავტობუსს? ისაა პარკირების ადგილი და ბაზრის თანამშრომლებმა თუ მოვაჭრეებმა უნდა დააყენონ მანქანები. აქ კი ავტობუსები დგას და იმდენადაა გადაჭედილი, მანქანა ვერ შემოდის. უბედური შემთხვევა რომ მოხდეს, რა პასუხს გასცემს შონია?“

შექმნილი მდგომარეობა არც მძღოლებისთვისაა სახარბიელო და არც მგზავრებისთვის. მძღოლები ავტოსადგურის მფლობელის მხრიდან მუქარაზე არ საუბრობენ, თუმცა არც იმას ამხელენ, რატომ ვერ დებენ ხელშეკრულებას ძველ კონტრაქტორთან. ერთ-ერთი სოფლის სამარტურტო ტაქსის მძღოლის თქმით, დისკომფორტი ექმნებათ მგზავრებს: „თუ მგზავრმა ვერ მოასწრო მოსვლა, სანამ ბაზართან ვდგავართ, ტვირთი ხელით უნდა მოიტანოს ავტოსადგურამდე, თან ნახევარი საათი სავსე მანქანით ვდგავართ სადგურში და ხალხი წუხდება“. ქალაქის სამარტურტო ტაქსის ერთ-ერთი მძღოლიც იგივეს იმეორებს:

„გაწვალდა ხალხი. კარგი იყო, როდესაც ბაზართან ვიდექით. ახლა მგზავრს საკმაო მანძილის გავლა უწევს. დარწმუნებული ვარ, ყველა დაბრუნდება ძველ ადგილას“.

ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო აგრესიულიები არიან მგზავრები - „ასე გავწვალდეს, ვინც ეს სადგური აქით გადმოიტანა. ბაზარში მოსვლა მეზარება, რეკლამენტრებულად უნდა ვიარო, რა უნდა ბაზრის ავტობუსს ასე შორს. მოვა ხალხი, ივაჭრებს და მერე დაკატაობს ბაზარსა და სადგურს შორის. მე რას მეკითხები, შენ ხარ კურნალისტი და შენ არ იცი“ გავგვიბრაზდა ზინა ბებო და სადგურის მეპატრონეებს ჩვენც მიგვაყოლა.

სვეტა ბერაია კი ხობის ერთ-ერთი სოფლიდან დადის სა-

მუშაოდ ფოთში: „ავტობუსს რომ მოვუსწრო, სამსახურიდან ტაქსით უნდა წამოვიდე სადგურში. ორმაგი ხარჯია, მაგრამ რა ვქნა? ბაზართან რომ იყოს, უფრო ახლოა და ამდენს არ გავწვალდებოდი. ამ ქვეყანაში ყველაფერი ხალხის საწინააღმდეგეა როგორ უნდა იყოს მოწყობილი? ხომ შეიძლება დადგეს დრო, ხალხის ნებასაც მიექცეს ყურადღება და მათ სასარგებლოდ გაკეთდეს რამე?“

რამდენად უშეგლის ზინა ბებოს და სხვა ასობით მგზავრს ჩვენი სტატია, ვერ ვივარს გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ უნდა იყოს ჯანსაღი კონკურენცია და თავად კონტრაქტორმა უნდა განსაზღვროს, ვისთან იმუშავებს.

ბულინგი - თანამედროვეობის პრობლემა

თაქა მახაია ფოთი

ნორმალური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის საჭიროა ადამიანებზე ბავშვები პატარაობიდან ჩამოყალიბდნენ. როგორც ბრძენი ამბობს, ბავშვის აღზრდა მუცლად ყოფნიდან იწყება. ყველა მშობელს სურს, კარგი შვილი ჰყავდეს, თუმცა „კარგი შვილის“ გაგება სხვადასხვაგვარია. ზოგი მშობელი ცდილობს, შვილებში წარმოახინოს უპირატესი თვისებები, რაც გამოარჩევს თანატოლებისგან. ეს ეტაპობრივად ხელს უწყობს მათ გაყოფილებას, რაც თავისთავად უბიძგებს ბავშვს, თანატოლებში ამ ხასიათის გამოვლინებას სხვადასხვანაირად, ზოგჯერ ეს გამოიხატება დაჩაგრვით, ზევიდან ყურებით, რაც, ერთი სიტყვით, ნიშნავს ბულინგს. ბოლო პერიოდში განხორციელდა ამაზე საუბარი. ადამიანები უმნიშვნელო კართობს უწოდებენ, ამარტივებენ პრობლემის მნიშვნელობას - „ბავშვია და არ ესმის“, „ბავშვური საქციელია, გაუგებია“ და სხვა. არადა, პირიქით, ძალიან საშიშ მოვლენებს უწყობს ხელს ამგვარი დამოკიდებულება. საზოგადოებაში განხორციელდა საუბარი ბავშვთა მიმართ ძალადობაზე, თუმცა არანაკლებ აქტიუალური და საშიშია მოზარდთა შორის დაპირისპირება. ეს არის არა ინდივიდუალური, რომელიმე ერთი ბავშვის პრობლემა, არამედ კულტურულ-სოციალური პრობლემა, რომელიც დიდი ხანია არსებობს ჩვენს საზოგადოებაში. მოზარდებს შორის დამკვიდრებულია გარკვეული ურთიერთობების ფორმით - „ლიდერი და გარიყული“. ბულინგი მოვლენაა, რომელიც მოიცავს მასებს, რადგან ერთი ადამიანის პრობლემა არ არის. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, დამახასიათებელია ძირითადად ბავშვთა კოლექტივისთვის. ეს არის სკოლა, თუმცა ხელის შემწყობი ფაქტორი სკოლა არ არის, რადგან სკოლაზე ხდება ბავშვის ჩამოყალიბება - აღზრდა, უფრო ადრეულ ასაკში, როდესაც ის მხოლოდ მშობლების და ოჯახის გარემოცვაშია, ამიტომაც უპირატესი სწორი აღზრდა, რომ შემდეგში მას არ შეექმნას პრობლემები სკოლაში, არ გახდეს ბულინგის მსხვერპლი, ანდა პირიქით, თავად არ გახდეს მოძალადე, მხაგრული.

საიტერესოა, რას ფიქრობენ ბავშვთა ფსიქოლოგები. რას ნიშნავს ბულინგი? ვესაუბრეთ ბავშვთა ფსიქოლოგ მანრი ბახილიას: „ბულინგი ესაა ერთი ადამიანის ნაგვრა მეორის მიერ. ნაგვრა შეიძლება იყოს ფიზიკური, მორალური, ემოციური, სიტყვიერი და ეკონომიკურიც კი. სკოლებში ძირითადი გამოვლინება ხანდახან თითქოს არა შესაძინებია, შეიძლება ეს იყოს ფიზიკური შეფასებები, ფიზიკური მონაცემებით შეფასონ მაგალითად ბავშვი. არის სხვა დანარჩენი თანატოლებისგან განსხვავებული წონის და მას უთხრან ამის შესახებ მაგალითად მიმართონ - შენ ხარ „ძროხა“. ხშირად ბიჭებს ეძახიან „ქეთინოს“. ხშირია შანტაჟი ბავშვებში, ფულის, ნივთების გამოძალკვა, იძულებით დაავადო ერთ ბავშვს წამოიღოს ჩანთა და ამას ქონდეს მუდმივი ხასიათი. ხშირია ასეთი ფორმის ურთიერთობის უგულვებლყოფა სკოლებში. არადა, პირიქით, არის მცირედი ნიუანსიც კი, რომელიც შემლახველია ბავშვის პიროვნული ღირსებისათვის. ეს უკვე ბულინგია, რომელიც აუცილებლად უნდა გახდეს საყურადღებო. დიდი როლი და დამტკიცება აქვს მასწავლებელს, განსაკუთრებით დამრიგებელს, რადგან მას აქვს ფუნქცია, იყოს უფროსი მეგობარი კლასის და ძირითადი პრობლემები მანდ განიხილება. ხშირად უნდა ეცნობოდეს მასწავლებლებს ლიტერატურას, რომელიც შეეხება ბავშვებს და მათთან დაკავშირებულ საკითხებს, თემებს, სადაც ძალიან კარგად არის განხილული ბულინგი,



ბავშვთა უფლებების დაცვა, უფლება-მოვალეობის შეჯერება და ერთ სივრცეში მათი განხილვა და გატარება. მასწავლებელს აქვს დიდი როლი ბავშვის ცხოვრებაში. მათ უნდა განახორციელონ ერთად პროექტები, ბავშვები მეტად დატვირთული უნდა იყვნენ, იცოდნენ, რა არის ბულინგი, ხშირად, რაც უწყინარ ხუმრობად მიაჩნია ბავშვს, შეიძლება ძალიან დამამცირებელი იყოს მისი ამხანაგისთვის და უსიტყვოდ მივიდეს დიდ ტრაგედიამდე. ბულინგის სურვილს ბავშვებში იწყებს გადამტკიცებული წარმოდგენა საკუთარ თავზე, უფროსების მხრიდან გადამტკიცებული უფლებების მინიჭება. მქონდა ასეთი შემთხვევა - მეორე კლასელი გოგონა ვერ სწავლობდა კარგად, მისი მასწავლებელი წარინებულ მოსწავლეს, რომელიც ამ გოგონას ამხანაგია, აძლევდა უფლებას, შეემოწმებინა მისი საშინაო დავალება და შემდეგ მას მიეთითებინა და შეეფასებინა ამ გოგონას ნამუშევარი, რაც ძალიან აღმაფრთხილებელია - არ შეიძლება ბავშვების შედარება. ყველა აკეთებს იმას, რაც შეუძლია, შეეფასონო სწორად და არასოდეს აუფროთ ვიღაცის ღირსების წარმოჩენის სეგმენტად, მეორე მხარის დაჩაგრვა - განგვიმარტა ბახილიამ.

საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია შეხედულება, რომ მოზარდი, რომელიც დაჩაგრულ პოზიციაზეა, არ იწყებს თანადგომას, პირიქით, ხელს უწყობს მოზარდის გარიყვას და ზოგჯერ ზიზღსაც კი. რადგან თვლიან, რომ ის თავად არის ამის ღირსი, რადგან ვერ უწყებს წინააღმდეგობას. ხოლო დაჩაგრული ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, რადგან გრძობს უიმედობას და უმწიკობას. ამის ფონზე ბავშვი თავს იდენაშულებს და მხაგრულს ამართლებს, რადგან მასში განხდა თავდაუხვევლობის გრძობა.

გაზეთი „შთავარი თემა სამეგრელოში“ დაინტერესდა, ყოფილა თუ არა ბულინგის შემთხვევა სკოლებში. ფოთის რესურს ცენტრის ხელმძღვანელმა გონა ქორქიამ როგორც გვითხრა: „ნამდვილად ვერ დავიდასტურებთ ფაქტს ბულინგთან დაკავშირებით. რაც მე ამ თანამდებობაზე ვარ, არ მომხდარა ბულინგის შემთხვევა, რადგან სკოლა მოგემართავდა ჩვენ და შესაბამის სამსახურებს აღნიშნულთან დაკავშირებით. ბულინგის შემთხვევაში სკოლა მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს, სოციალურ მუშაკს, მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრს. სკოლა გვაწვდის ასეთ შემთხვევაში ინფორმაციას და ჩვენი სამსახური განათლების სამინისტროს“.

სახელმწიფოსგან განსხვავებით, სტატისტიკის წარმოება სხვადასხვა კვლევის საფუძველზე, რამდენიმე ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ სცადა. ერთ-ერთი იყო „გაეროს ბავშვთა ფონდი“ (UNICEF). ორგანიზაციის მიერ 2012 წელს გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში გამოკითხული ბავშვების 80%-ს ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა. საინტერესოა, თავად ბავშვები რას ფიქრობენ ბულინგთან დაკავშირებით: ლუკა, 16 წლის: „მოძალადე ხშირად მასწავლებელიცაა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფსიქოლოგიურ ბულინგთან. ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი ბავშვს მთელი კლასის წინაშე ამცირებს, ცდილობს მისი შესაძლებლობების აბუჩად აგდებას, მისი ჩაცმის სტილზე ხუმრობს და ა.შ. ჩემი აზრით, გამოსავალი არაფორმალურ განათლებაშია, რომელიც როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებსაც სჭირდებათ. მასსოფს ერთი შემთხვევა - დახეული ჯინსები მეცვა და ჩემი კლასის დამრიგებელმა შემომავლიჯა მთლიანად, მერე კი დამპირდა, შევიკერავო, მაგრამ ფაქტია რომ მან ჩემზე იძალდა“.

მათე, 10 წლის: „მასსოფს, საერთო დავალება მოეცა მასწავლებელმა, ჯგუფურად უნდა გვემუშავა, მეც მოხვდი ერთ-ერთ ჯგუფში, არ ვიცი, ლიდერობა უნდოდა თუ რა, მაგრამ ერთმა ამხანაგმა მთხოვა მასთან სახლში მისულს ტკბილეულობა მიმეტა, მე ჩათვალე ეს არასწორად და არ დავრჩი იმ ჯგუფში, ალბათ ესეც ძალადობაა ერთგვარი“.

ნინო, 16 წლის: „კლასელი მეავს, რომელსაც მეტყველების პრობლემა აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბრაზობს. ხშირად დაცინიან ხოლმე, რაც არასწორად მიმაჩნია“.

საუკეთესო გამოსავალი არ არის, ბავშვს ურჩიო „ხურდა დაუბრუნოს“ გამანაწყენებელს, შური იძიოს, ანდა“ მეორე ლოყა უხვევოს“. გამოსავალი ძნელი მოსაძებნია, რომელიც ამ შემთხვევაში ინდივიდუალურია, თუმცა გამოსავლის ძიებაში ბულინგის ფაქტები განხორდა. „თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დღეს კიდევ უფრო მეტი ბავშვია ძალადობის მსხვერპლი, ვიდრე გარკვეული წლების წინ“, „ხშირ შემთხვევაში ბავშვი ვერ ხვდება, როდის არის ის ბულინგის მსხვერპლი“, „ყველა ბავშვი გამხდარა ბულინგის მსხვერპლი“ - ასეთი ფრაზებიც ბულინგის შემთხვევებით განხორდა საზოგადოებაში. ძალიან მინდა ეს წერილი ჩვენი სარწმუნოების, სახარების „ოქროს კანონად“ წოდებული მცნებით დავასრულო და მოეუწოდო ყველა ადამიანს გაიხადონ ის ცხოვრების კრედიტ: „მოექცეოთ სხვებს ისე, როგორც გინდათ, რომ თქვენ მოექცნენ“, მერწმუნეთ, ბულინგის კვალიც კი გაქრება, თუ ასე ვიცხოვრებთ.

„როდესაც ხალხზე ხომ უნდა იფიქროს პინგუა?..“

დასაწყისი 4-83.

„ზეიტერ სამეგრელოს“ ხელმძღვანელ ნინო ქობალიას თქმით, სამეგრელო, საქართველოს მასშტაბით, აქტიურობის მხრივ პირველია, რასაც ძალიან საამაყოდ თვლის, რომ ამ ორგანიზაციის მეშვეობით საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა საგრძობლად გამოსწორდება. დღეის მდგომარეობით სულ შემოსულია 10- დან 20 ათასამდე განაცხადი (შესაბამისად, 10-10

ლარი - ავტ.), იმედოვნებს, რომ განაცხადების რაოდენობა გაიზრდება, რადგან უფრო მეტი მოთხოვნისას, დაფინანსების შანსიც მეტი იქნება - ერთ ოჯახი 200-დან 20 ათას დოლარამდე დაფინანსდება. „ჩვენ მთელი საქართველოს მასშტაბით ვმართავთ შეხვედრებს და საზოგადოების აქტიურობაც მაღალია. მათ სჯერათ ჩვენი. ფოთშიც ვვგებავთ შეხვედრას, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ადგილობრივ მმართველობასთან, ჯერჯერობით ვერ შევთანხმდით, მაგრამ შეხვედრა აუცილებლად შედგება“ - გვითხრა ქობალიამ.

წლების გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ დაბეჭადულ, გადატაკებულ ერს მომხიბლავად ეჩვენება ლამაზად შეფუთული ლოზუნგები და შემართება, რაც შეერთებული შტატებიდან მოდის, მით უმეტეს, რომ მსოფლიო ტრენდი ამერიკა გახლავთ და გავლენაც შესაბამისად დიდია. მაგალითად, სმამდალი ლოზუნგი „ქართული ეკონომიკის აღორძინება და ამერიკის მთავრობის გრანტები საქართველოს“ ძალიან მომხიბლავია ქართველი ერისთვის. რამდენად რეალურია გვემბი, რასაც ეს ორგანიზაცია პირდება მხარდამჭერებს, აპლიკანტებს, ადამიანებს, რომლებსაც იმედის ნაპერწკალი გაუჩინეს, ამას დრო გვიჩვენებს.

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში, ახსნაღეს კონკურსს ქალბატონებისათვის სახელწოდებით „ნარმატაბული ქალი 2018.“

კვირფასო ფოთელანო ჩვენი გაზეთის მეშვეობით შესაქმავლად თქვენს აირჩიეთ ნარმატაბული ქალი. ამისთვის გთხოვთ მოგვანდოთ

ინფორმაცია იმ ქალბატონების შესახებ, ვინც ნაბიჯიან სურათით ნარმატაბული საქმეებით გამოირჩევიან.

ჩვეულთა კანდიდატები შეგიძლიათ მოგვანდოთ რედაქციისთვის, ან დაგვიჩვენოთ, გამოგვიჩვენოთ ქვემოთ მოცემულ ფოსტაზე: mtavaritsamegrelishi@gmail.com

ნარმატაბული კანდიდატების შერჩევა მოხდება კონკურსის სახით. გაზეთში დაბეჭდილი სახელწოდებით გთხოვთ მოგვანდოთ ნარმატაბული ქალი.

ამჟამად გთავაზობთ კონკურსს ქალბატონს ჯული ქილიფთას

ჯული ქილიფთასი: „სხოვრებაში სირთულეების არ მეშინია,“

თქვენი გაგება ფოთი

ჩვენს დღევანდელ რუბრიკას აგრძელებს ქალბატონი, რომელმაც შეძლო სრულ პარმონიაში მოეყვანა კარიერა და ოჯახური ცხოვრება, რაც, ვფიქრობ, მისი უდიდესი პასუხისმგებობის გრძობის დამსახურებაა. ქალბატონი ჯული ქილიფთასი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული, ამავე დროს უახლოესი წრისთვის ნაცნობი, ძალიან საინტერესო და მიმზიდველი ადამიანია. ოჯახში მოფუსფუსე, მოსიყვარულე დედა და მეუღლე. ძალიან უბრალო, მოწყვლადი და უბედოლო მსახურებზე.

„ლანხუთში“ დავასრულე პირველი სკოლა- გიმნაზია წარმატებით და სწავლა გავაგრძელე სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის მეცნიერების კუთხით. მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა დავოჯახდი. უნივერსიტეტის დასრულების დროს მეორე ბავშვს ველოდებოდი. ვიყავი ოჯახში ბავშვების აღზრდით დაკავებული აქტიურად. სამი შვილი მყავს, პირველი შვილი სტუდენტია, შუათანა სკოლას წელს ამთავრებს ოქროს მედალზე, მესამე კი მეშვიდე კლასშია. მესამე შვილი რომ შევიყვანე საბავშვო ბაღში, დავიწყე ფიქრი, რომ უნდა ჩავრთულიყავი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მანამდე არც მიფიქრია რადგან ჩემთვის ბავშვების აღზრდა პრიორიტეტი გახლდათ და არის, რა თქმა უნდა. სამსახური დავიწყე საოფისე პროგრამებით. როდესაც დავფიქრდი, სად ვხვდებოდი ჩემს თავს, იყო ბუღალტერია. საბუღალტრო კურსები არ გამივლია, ნიკორაში გამოცხადდა ვაკანსია და დავიწყე მუშაობა 2008 წელს. ეს გახლდათ ჩემი პირველი სამუშაო გამოცდილება. სამსახურის პარალელურად ვსწავლობდი ბიზნეს სკოლაში. ვცდილობდი გამეყო კურსები, რომელიც პროფესიულად გამზრდიდა და შემიძნელდა მეტ ცოდნასა და კვალიფიკაციას ამომადგებდა. ერთგვარი დაკარგული დროის ანაზღაურება იყო ჩემი მხრიდან. ამ პერიოდში გამოცხადდა ვაკანსია შემოსავლების სამსახურში, გავიარე გასაუბრება ტესტირება წარმატებით და შემდგომ სწავლება გავიარე

პოლიციის აკადემიაში სამი თვით. ძალიან რთული იყო იქ სწავლა იმ კუთხით, რომ სამხედრო რეჟიმში გვიწვედა ცხოვრება, დილით მოწყობა, საღამო, სპეციალური ფორმა, ქუდი. ძალიან რთული, მაგრამ საინტერესო იყო. ხშირად შენატრება იქ გატარებული პერიოდი. ხშირად ვამბობ, რომ მამაკაცებისთვის სავალდებულოა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაგება, ქალებისთვის კი კარგი იქნებოდა, რადგან ვთვლი, რომ ყველა ადამიანისათვის საინტერესო, გამომცდელო იქნებოდა სამხედრო ცხოვრებით ცხოვრება, იქაური წესები, წესრიგი. ეს ყველაფერი ხელს გიწვობს, ცხოვრება სხვა მხრით დაინახო და დროის ფასს სწავლობ უმეტესად. ათვიცნობიერება, ცხოვრებისგან რა დავალებები გაქვს მიღებული და ზოგადად, აწესრიგებს ადამიანის ცხოვრებას. ამის შემდეგ მუშაობა დავიწყე ოფიცრად, რეგიონული ცენტრი იყო ადრე ეს სამსახური, მოხდა რეორგანიზაცია. ვიყავი კამერალურ შემოწმებაში, შემდეგ გადავიდა ქუთაისში და დიდი ორგანიზაციის მერე გადავედი ქუთაისში მეც, აუდიტის განყოფილებაში ვმუშაობდი. 5 თვის შემდეგ კი ცენტრალიზება თბილისში მოხდა. გადავედი. სადაც ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდი აუდიტის სამსახურში. გაუსაძლისი იყო ასე ცხოვრება - მე თბილისში, ჩემი ოჯახი ფოთში. ამიტომ გადავწყვიტე ფოთში დაბრუნება და მთავარ ბუღალტრად დავიწყე მუშაობა „პრაიმ ბეტონში“. 2013 წლიდან დღემდე კი ვმუშაობ შემოსავლების სამსახურის სერვისების ცენტრის ხელმძღვანელად. ყველანაირად ვცდილობ, აქ მომუშავე თითოეულ ადამიანს კომფორტული გარემო შევუქმნა, ურთიერთობა ძალიან კარგი და მეგობრული გვაქვს. საბუღალტრო სფეროში მუშაობის გამოცდილებამ გამიადვილა მუშაობა აქ მომუშავე ბუღალტრებთან და ხშირად მეუბნებიან კიდევ - როგორ გესმის ჩვენი. არის ტერმინოლოგია, რომელიც საერთოა და გამოყენებადი არის დღესაც ამ პოზიციაზე. ამ წლების განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ჩვენს „გადამხდელს“ უარყოფითად შეეფასებინა ჩვენი მუშაობა. პირიქით მაღლობის წერილებიც კი დაუტოვებთ.

ცხოვრებაში არის ეტაპები, როდესაც ხვდები ისეთ ადამიანებს რომლებიც მუდამ შენთან რჩებიან და მერე მთელი ცხოვრება მოგვევლიან. ასეთები არიან ჩემი ია, ზაზა, რომლებმაც ბავშვობის სურვილები, განცდები გამოცოცხლეს. მაღლობა უფალს რომ შინაგანად მაქვს ნება თუ ნიჭი ადამიანებს ელემენტარული ყურადღება მივაქციო, გავითავისო მათი გასაჭირი. მაბედნიერებს, როცა ვინმეს ვხვდარები. ძალიან დიდი ბედნიერებაა ჩემთვის, რომ ვარ ფონდ „ქველმოქმედი-2015“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი. -როგორ შეათავსებ ოჯახი და კარიერა. რისი დათმობა მოგიხდათ? -მთავარი ნებისმიერ დროს ოჯახია, ძალიან რთული იყო ის პერიოდი, როდესაც მე თბილისში ვიყავი და ჩემი ოჯახი აქ. ბავშვებთან გამუდმებულ სატელეფონო რეჟიმში ვიყავი ჩართული. დღესაც შუადღეს, შესვენების პერიოდში, მათთან ვიყო, ნაბოლარას გაუვარო სკოლაში, წამოვიყვანო, ვისადილოთ ერთად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერზე მეტი ღირებული ჩემთვის ოჯახია და დრო, რომელიც ოჯახისგან შორს გავატარებ ძალიან მტკივნეულია. დიდ დათმობად ჩათვლი ჩემს ცხოვრებაში იმ დროს, რომელიც, კარიერას, სამსახურს, დავუთმე. ცხოვრებას, თავისი, ეტაპები გააჩნია და ალბათ ეს ის ეტაპი იყო, როდესაც ყველას ერთად უკეთესობისთვის მივგვეღო. -წარმატებისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯები... -მასხენდება, პირველად რომ მიყვარ სამსახურში, ფინანსური მეზღვერი იყო ვალერი ახალაია, ვინც გამესაუბრა. მასსოვს, მან ისეთი მაგალითი მითხრა, თითქოს სახლისო, მაგრამ ჩასაფიქრებელი. ძალიან დიდი ცოდნა მივიღე ნიკორაში მუშაობის პერიოდში, მთელი დასავლეთის ბუღალტერია მანდ კეთდება და აუდიტშიც რომ დავიწყე მუშაობა, უამრავი საბუთო შემოდინდა, ზღვა მასალა. ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენდა, მე თვითონ ვამუშავე ერთ თვეში უპრობლემოდ. ნიკორას ამ გამოცდილებამ სხვა სამსახურებში მეტი შესაძლებლობის გამოვლენის საშუალება მომცა, სირთულეების არ მეშინია ცხოვრებაში... - დევიზი, რითაც ხელმძღვანელობთ ცხოვრებაში -ძირითადად, ჩემი სახელმძღვანელო პრინციპია მუშაკებების პრინციპი - ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის. ამ სამ-



სახურში ძალიან პროფესიონალი თანამშრომლები მყავს, ერთიანი გუნდი ვართ. მათ აქვთ ჩემი იმედი და მე მათი. ყველანაირად ვცდილობ, სამსახურში შევქმნა კომფორტული სივრცე, სადაც თავს კარგად იგრძნობენ. ძალიან მეგობრულად ვმუშაობ. მიმჩნია, რომ მეგობრულ და ნორმალურ გარემოში საქმეც უფრო ხარისხიანად კეთდება. - მოგონება, რომელიც არასოდეს დაგავიწყდებათ -ჩემი ცხოვრების წარუშლელი, მწარე და ტკივილიანი მოგონება მამაჩემის გარდაცვალებაა. 13 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ტკივილი ისევ ისეთია. დამრჩა მისგან უამრავი შეგონება, დარიგება, რომელიც სულ მასსოვს და ხშირად გამომდგომია მისი დარიგებები. მამამ დამიტოვა ცხოვრების შეცნობის უნარი. დამიტოვა ოჯახური ტრადიცია, რომელიც აერთიანებს ოჯახს, თბილსა და ყურადღებებს, მყუდროს ხდის მას, მაგალითად ერთად სადილობა. მასსოვს, პატარები როცა ვიყავით, ველოდებოდით მამიკოს მოსვლას და მერე მივირთმევედით, დღესაც ასე ვარ - მიყვარს ოჯახური, მყუდრო გარემო. ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთმა პიროვნებამ დიდი კვალი დატოვა - ბიზნეს სკოლაში სწავლის პერიოდში აკაკი სონგულაია, რომელიც იმ დროს საგადასახალოდო ხელმძღვანელი

იყო, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. როდესაც გავდიოდით საგადასახალო კოდექსს. ძალიან ნიჭიერი პიროვნება იყო, ძალიან მომხიბლა მისმა განსწავლულობამ. მან მიბიძგა, მეცადა თავი ახალ სფეროში, ასე აღმოვჩნდი საგადასახალო მიმართულებით. -სად ხედავთ თავს წლების შემდეგ -არ ვიცი. ამაზე ჯერ არ მიფიქრია, იმდენად დატვირთული და აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ, ვფიქრობ ჩემი შვილების მომავალზე. საბოლოო ჯამში, ალბათ, ოჯახში მოფუსფუსე კარგი მოსიყვარულე ბებია ვიქნები (ვღიმიება). ჩემი მეუღლე მეფუტკრეა, გვაქვს ფუტკრის ოჯახი, რომელსაც ვამთავრებთ და ღრმა მოხუცებულობაში მე და ვია ვიქნებით კარგ ბუნებაში, ჩვენთვის მყუდროდ. -საყვარელი საქმე -ხელსაქმე მიყვარს ძალიან - ქსოვა, კერვა. ჩემი პატარებისთვის შემიკურია, როდესაც სახლში ვიყავი და არ ვმუშაობდი, ასევე ვხატავ. ზღვა არის ჩემი სტიქია, ძალიან კარგად ვეკურავ. -რას ურწევდით ქალბატონებს - ვურწევ. გამოიყურებოდნენ მუდამ მომხიბლავად, იყვნენ ბედნიერები. გასაგებია, რომ ბედნიერება გარემოებას მოაქვს, მაგრამ გარემოებასაც შექმნა უნდა. თავად უნდა შექმნან ბედნიერი გარემო.

<p>კონკურსი „ნარმატაბული ქალი,“</p> <p>კონკურსანტის სახელი და გვარი</p> <p>ჩვენი მისამართი: ფოთი, 26 მაისის 7</p>	<p>კონკურსი „ნარმატაბული ქალი,“</p> <p>კონკურსანტის სახელი და გვარი</p> <p>ჩვენი მისამართი: ფოთი, 26 მაისის 7</p>	<p>კონკურსი „ნარმატაბული ქალი,“</p> <p>კონკურსანტის სახელი და გვარი</p> <p>ჩვენი მისამართი: ფოთი, 26 მაისის 7</p>
--	--	--

ბავშვთა საფეხბურთო სკოლა წლებია სავალალო მდგომარეობაშია

ივანე პაჭკორია ფოტო

ათეული წელია, ფოტოში ფეხბურთი სავალალო მდგომარეობაშია. საკრებულოს თავმჯდომარისა არ იყოს - „ფოტოებს მხოლოდ აკვანი დაგვრჩა“. სპეციალისტების თქმით, ფოტოში ფეხბურთის განვითარებისათვის აუცილებელია საბავშვო ფეხბურთის განვითარება. აქ კი მდგომარეობა გაცილებით სავალალოა. პატარა ფეხბურთელებს თამაში პირდაპირ წყალში უწევთ, რადგან სტადიონზე წყალი დგება. გასულ თვეს სოციალური ქსელი აჭრელბუღის იყო საფეხბურთო სკოლის, ეგრეთწოდებული მალანის სტადიონზე ჩატარებული საფეხბურთო მატჩის ფოტოებით, სადაც ახალგაზრდები პირდაპირ წყალში თამაშობდნენ. კომენტარებში მოთამაშეები გმირ ფეხბურთელებად კი მოიხსენიებოდნენ. საფეხბურთო სკოლის მოსწავლეები მოედანზე ნოემბრიდან აპრილამდე ვარჯიშს ვერ ახერხებენ, რადგან ამინდი ამის საშუალებას არ აძლევს. საფეხბურთო სკოლაში არ არის გამართული ინფრასტრუქტურა. უფრო უპრიანი იქნება, თუ ვიცოცხლოთ, რომ ინფრასტრუქტურა საერთოდ არ აქვს. მშობელს პირველივე შესაძლებლობისთანავე ბავშვები სხვადასხვა ქალაქების საფეხბურთო სკოლებში გადაყავთ. მიუხედავად ასეთი ინფრასტრუქტურისა, გასულ წელს საფეხბურთო სკოლის ორმა გუნდმა პირველი ადგილი აიღო, ორმა გუნდმა მეორე, ერთმა კი მესამე.

წლებია ისმის კითხვა - რა ეშველება საფეხბურთო სკოლას. იცვლება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, მაგრამ პასუხი ყოველთვის უცვლელია - ბიუჯეტი არ გვაძლევს ამის საშუალებას.

საფეხბურთო სკოლის დირექტორი ალექსანდრე ეფრემიძე იმედს არ კარგავს, რომ ცენტრალური სტადიონის აშენების შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლება ბავშვთა ფეხბურთზეც იზრუნებს: „იმედი მაქვს, ცენტრალური სტადიონის შემდეგ სკოლაზეც იზრუნებენ, თორემ ფოტის „კოლხეთი 1913“ საერთოდ არ ეყოლება სკოლიდან მომარაგება (თუმცა არც კლუბის ხელმძღვანელობა დაინტერესებული ადგილობრივი ფეხბურთელებით). ყველაფერი იწყება ფუნდამენტიდან. ამიტომ ბავშვთა ფეხბურთის მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენი მოვალეობაა, აღვზარდოთ ფეხბურთელები. ვინ

სად ითამაშებს, ეს მათი ნებაა. კლუბში მხოლოდ სამი მოსწავლე ვარჯიშობს, დანარჩენი ბავშვები სად არიან გაფანტულნი, არ ვიცი, ზოგმა საერთოდ მიატოვა ფეხბურთი, ზოგი სხვადასხვა ქალაქის კლუბებში ვარჯიშობს, კლუბი კი ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული. ლეგიონერების ჩამოყვანა კლუბის საქმეა, მაგრამ ჩამოყვანილები შედეგზე უნდა იყვნენ ორიენტირებული“.

ეფრემიძის განმარტებით, მოსწავლეთა მიგრაცია სხვადასხვა სკოლებში თუ კლუბებში ფოტის საფეხბურთო სკოლაში არსებულმა (არარსებულმა) ინფრასტრუქტურამ გამოიწვია. იგი ასევე შეეხო მარტვილის ახალაშენებულ აკადემიას. მისი აზრით, უპრიანი იქნებოდა, თუ აკადემია ფოტოში აშენებოდა. ხოლო ის მოსაზრება, თითქოს ეს აკადემია ფოტოში უნდა აშენებულიყო, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება არ დაეთანხმა, უარყო: „7 წელია, აქ ვმუშაობ და ინვესტიციაზე საუბარი არ გამიგია. ჩემი მუშაობის პერიოდში ძალიან ბევრი ბავშვი გადავიდა სხვა კლუბებში, სკოლებსა და აკადემიაში. წელს რამდენიმე ბავშვი მარტვილის აკადემიაში გადავიდა, რომელიც თბილისის დინამოსა და ფეხბურთის ფედერაციის თანადაფინანსებით აშენდა. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, მარტო „დინამომ“ 120 ათასი ლარი ჩადო. ჯერ ამ პირობებში საკმაოდ კარგი შედეგი გვაქვს და წარმოიდგინია, ეს თანხა აქ რომ ჩადო ვინმეს, როგორი შედეგები გვექნებოდა. ხუთი გუნდი გვყავს და სამეგრელო-ზემო-სვანეთის ჩემპიონატზე სამი ჩემპიონი მაინც გვყავს. თუ აღმოსავლეთში თამაშის საშუალება მოგვეცემა, იქაც კარგ შედეგებს ვაჩვენებთ. თუ სადმე უნდა გაკეთებულიყო აკადემია, ფოტოში უნდა გაკეთებულიყო, რადგან აქ ყველანაირი ბუნებრივი პირობაა. ადრე 300 ბავშვიც კი გვყავდა. დღეს სიით 230 ბავშვი გვყავს, მაგრამ მოძრავია ეს სიაც. შეიძლება დღეს მოვიდეს და ერთი თვე საერთოდ არ გამოჩნდეს, ან პირიქით ორი ბავშვი დაგვემატოს. ჩვენ ყველას ვარუდისტრიბუტო, მაგრამ იმულებულს ვერ ვხდით მშობელს და მოსწავლეს, იაროს სკოლაში“.

ეფრემიძე თვლის, რომ საფეხბურთო სკოლაში ბავშვების „დასაკავებლად“ გამართული ინფრასტრუქტურის არსებობაა საჭირო: „ბავშვებმა დღეს კარგად იციან, როგორია ევროპულ ქვეყნებში საფეხბურთო სკოლები. ბავშვს სჭირდება მოედანი, ტრიბუნა, მშობელს უნდა შეეძლოს დასწრება.

აქ რომ მოდიან და სრულიად საპირისპირო მდგომარეობა ხდებათ, ძნელია მათი აქ განერება. ამიტომ ძალიან ბევრი სხვა სპორტშიც გადადის. წელს ოთხი წამყვანი ფეხბურთელი გადავიდა მარტვილში“.

როგორც ეფრემიძე ამბობს, ინვესტორის მოძიება თავად არ უცდია, მაგრამ საკუთარი საქციელით ცდილობდა სხვებისათვის მაგალითი მიეცა: „4 წელი ხელფასი სახელში არ წამიღია. ჩემი სრული ხელფასი ხმარდებოდა სკოლის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას. თუმცა არც დანახა და არც დააფასა ვინმემ. თუ სურვილი არ იქნა, ძალით ვერავის დააძალებ, ფეხბურთს ამოუღევი გვერდითო. არავის არ გაუკვირდება, რომ 40 წელი სკოლას წყალი არ ქონდა. ერთ დღეში ჩავრთე წყალი და 600 ლარი დამიჯდა. ელექტრო კაბელები გამოვცვალე, რადგან საკმაოდ ძველი იყო. ზოგჯერ გამათბობელს ვრთავთ. ვეიყენია ასევე წყლის გამათბობლები, მაგრამ საკმაოდ ბევრს წერს და იმის ფუფუნება არ გვაქვს, თვეში 300 და 400 ლარი ვიხადოთ, ამიტომ ყოველდღე ვერ ვრთავთ“.

ეფრემიძის აზრით, ქალაქს ფეხბურთის განვითარებისათვის სოლიდური თანხების გამოყოფის საშუალება არ აქვს და თუ სახელმწიფო ფეხბურთის განვითარებისათვის თანხებს გამოყოფდა, ეს ფოტოში უნდა მომხდარიყო: „დღეს სკოლის გასამართად 5 მილიონი ლარი მაინც არის საჭირო. ქალაქის ბიუჯეტით კი ძნელია ამის გაკეთება. უნდა გაკეთდეს ერთი ბუნებრივი და ერთი ხელოვნური სტადიონი, ასევე ქვიშის სტადიონიც, ასევე დრენაჟი. თუ ფეხბურთის განვითარებისათვის ზრდა ფოტიდან არ დაიწყო, რუსთავეში, ლაგოდეხში და მარტვილში ამის გაკეთებას რა აზრი აქვს? ფოტო არის ფეხბურთის სამშობიარო, რომელიც ჩაკეტილია. იყო დრო, როდესაც საქართველო ესპანეთს 3:0 უგებდა, მაგრამ იქ კოსმოსური სიჩქარით განვითარდა ფეხბურთი, აქ კი იმ დონეზევე დარჩა, ის კი არაა, უფრო დაბლა ჩამოვიდა. ფოტოში კი არ ვმუშაობთ, ვწვადობთ“.

ფეხბურთის სკოლის დირექტორი თვლის, რომ თუ ადგილობრივი გუნდის უმრავლესობა ფოტელები იქნებიან, ეს ერთ-ერთი გზა იქნება ახალგაზრდების მოზიდვისათვის, მით უმეტეს მაშინ, როცა ლეგიონერებით დაკომპლექტებული „კოლხეთი 1913“ ლიგაში ბოლო ადგილზეა: „თუ ფოტის ყავს გუნდი, იქ უმეტესობა ფოტელი უნდა იყოს. მაშინ შევქმ-

ნათ ახალი გუნდი. ერთი დაძახება და გუნდს შევკრებ. როდესაც ლეგიონერი მოგყავს და მაღალ ხელფასს უხდი, შედეგიც უნდა დადოს და სანახაობაც აჩვენოს. მირჩევნია, 7:0 წააგონ ფოტელმა ფეხბურთელებმა, ვიდრე ლეგიონერებმა 5:0“. ამ მოსაზრებაში ეფრემიძეს ალბათ 99% დაეთანხმება, 1% კი იქნება ის, ვის ინტერესებდა ლეგიონერების ჩამოყვანა შედის.

„ბავშვთა ფეხბურთში კატასტროფული მდგომარეობაა და ამის გამოსწორება მხოლოდ ცარიელი დაპირებაა ადგილობრივი ხელისუფლებიდან“ - აცხადებს საფეხბურთო სკოლის ყოფილი დირექტორი, „კოლხეთი1913“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი ზაზა ინიაშვილი: „ყველაზე მოუწესრიგებელი საფეხბურთო სკოლის ინფრასტრუქტურა ფოტოშია. ნოემბრის დასაწყისიდან მარტის შუა რიცხვამდე ბავშვს ფეხბურთზე ვერ მიიყვან, რადგან არანაირი პირობა არ აქვს სავარჯიშოდ და ამაზე არავინ ფიქრობს. ცენტრალური სტადიონის მშენებლობა კარგია, მაგრამ ეს იგივეა, სახლის მშენებლობა სახურავიდან დაიწყო. ჯერ ბავშვებს უნდა მოუწყო ინფრასტრუქტურა, რომ „კოლხეთს“ და საქართველოს ნაკრებს გამოადგინოს. სკოლაში არის იმდენი ტერიტორია, რომ გაკეთდეს როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივსაფარის სტანდარტული სტადიონი. ვიძახით, ფოტი ფეხბურთის აკვანიო, მაგრამ სად ჩანს, რომ აკვანია?“ ინიაშვილის აზრით, შეიძლება ბიზნესმენების დაინტერესებაც. თუ რატომ არ დაინტერესეს ამდენი წლის განმავლობაში ისინი, ინიაშვილი ამბობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული.

ეგრეთ წოდებული მალანის სტადიონზე მდგომარეობის გაუმჯობესების გაცილებით მარტივ ხერხზე საუბრობს სპორტის განყოფილების უფროსი გიგლა ბახტაძე. მისი აზრით, მალანის სტადიონის ირგვლივ უნდა გაიწმინდოს წყლის საწრები არხი და შეუერთდეს რიონს: „არხის გაწმენდამდე სტადიონის მოზინვას აზრი არ აქვს. იქ წყალი მაინც დადგება. რამდენადაც ცნობილია, უკვე დაგეგმილია არხის გაწმენდა“.

კითხვაზე თუ სტადიონის პრობლემა მხოლოდ არხის გაწმენდით გადაწყდებოდა, ამდენი წლის განმავლობაში ბავშვები წყალში რატომ თამაშობენ და რატომ არ მოგვარდა ეს პრობლემა მაინც. ბახტაძეს ამაზე პასუხი აქვს - არ ფუნქციონირებდა სატუმბი სადგური, რომელიც ამჟამად ამუშავებულია.



რა ძაღვებით და ყარყოთებით თვისებები აქვს ყავას? რამდენი ჭიქა ყავის მიღება რეკომენდირებულია ერთი განმავლობაში ?

შეიძლება ითქვას, რომ დღეს-დღეობით იშვიათად თუ შეხვდებით ადამიანს, რომელიც ყავაზე დამოკიდებული არაა. ყავამ იმდენად დიდი ადგილი დაიკავა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, რომ ამ “უკვდავების სითხის” გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმოვიდგინო, ჩვენი დილა ხომ იწყება და მთავრდება ყავით. ხშირად ადამიანი მასზე იმდენად დამოკიდებულია, რომ თუ დაღვევა ვერ მოახერხა ეწყება თავის ტკივილი, სისუსტე, თავბრუსხვევა და ყავის დაღვევის საშინელი სურვილი იპყრობს, დაღვევისთანავე კი ყველანაირი სიმპტომი მაშინვე ქრება.

ყავასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი მოსაზრება, საიდანაც ზოგი მითია, ზოგიც რეალობა. იმის გასაგებად, თუ რომელი მოსაზრებაა მცდარი და რომელი ჭეშმარიტი გთავაზობთ მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებების ჩამონათვალს:

1. ცნობილია, რომ კოფეინისა და გლუკოზის ერთობლიობა ააქტიურებს

2. ტვინის უჯრედებს, რაც ახანგრძლივებს ჩვენ შრომის უნარიანობას
3. ექიმების რჩევით ყავის დილით, უზომოზე დაღვევა არარეკომენდირებულია, რადგან იგი იწვევს კუჭის გათიხიანებას
3. ცნობილია, რომ ხსნადი ყავა შედარებით დიდი რაოდენობით შეიცავს მავნე ნივთიერებებს, აქედან გამომდინარე მისი ხშირი მიღება რეკომენდირებული არ არის
4. ყავის მიღება ხშირ შემთხვევაში აყუჩებს თავის ტკივილს, ხსნის სტრესს, დაძაბულობას
5. ყავა აუმჯობესებს მესხიერებას, შრომისუნარიანობას და დადებითად მოქმედებს ჩვენ ხასიათზე
6. კოფეინის ზემოქმედებით ღრმავდება და ხშირდება სუნთქვა, ძლიერდება გულის მუშაობა, ფართოვდება თავის ტვინის, თირკმელებისა და გულის სისხლძარღვები



ნათესაურის ხილი და მათი სასარგებლო თვისებები

ყველას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია სხვადასხვა ხილის უნიკალურ თვისებებზე, რომლებიც ზოგჯერ მედიკამენტებსაც კი ჯობია და რაც მთავარია, ხილი მედიკამენტებისგან განსხვავებით ძალიან გემრიელია.

გარგარი – შეიცავს დიდი რაოდენობით რკინას არის ძალიან გემრიელი და სასარგებლო ხილი. რეკომენდირებულია ანემიის და გულსისხლძარღვთა დაავადებების დროს. ასევე კარგია ხველის დროსაც. ყველაზე განსაკუთრებული თვისება ისაა რომ ადამიანს იცავს ფილტვის კიბოს დაავადებისაგან. მწიფე გარგარში ნაკლები კალორიაა. ასე რომ ვისაც ეს უნიკალური ხილი ვიყვართ ძალი-

ან კარგია მას ნამდვილად ძალიან მავარი თვისებები



ნესვი – ერთ-ერთი მიზეზი იმისა თუ რატომ ნესვი არის ის რომ ნესვი უმრავლესობას არ მიაჩნია სასარგებლო ხილად თუმცა ნესვი არის 17 ჯერ მეტი რკინა ვიდრე რძეში გარდა ამის ამას შეუძლია ღვიძლისა და კუჭის ნებისმიერი დაავადების განკურნება. ვისაც აქვს გემოგლობინის პრობლემა უნდა მიმართოს ნესვს რადგან ნესვი გემოგლობინის საუკეთესო საშუალებაა.

საზამთრო – ნესვის მსგავსად მიიხნევა უსარგებლო ხილად, მაგრამ გეტყვით, რომ საზამთრო მისი სამკურნალო თვისებებით გამორჩეულიც კია. იგი საუკეთესო საშუალებაა სიმსუქნის უშვილობის ცჰეპატიტის ანემიის და გულის დაავადების დროს.

ქლიავი – შეიცავს ბ ვიტამინს ქლიავი ხსნის დადლილობას აუმჯობესებს ძილს და ნერვულ სისტემას. ასევე ქლიავი გამოიყენება შეკრულობის დროს.

<p>ბაზეთის ხელმოწერა საქურადლეპო! ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის</p> <p>1 წლით - 50 ლარი 6 თვით - 25 ლარი 3 თვით - 12,50 ლარი</p> <p>კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის</p> <p>3 თვით - 6 ლარი</p> <p>იკითხეთ ბაზეთი თეატრალური</p>	<p>ბაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს ბაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შედეგ მისამართზე: ფოთი ნმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17</p>	<p>ბაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოსდილება ქურნალისტიკაში წარმატებული სტაჟირობები დასაქმდებიან ბაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი ნმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17</p>
---	---	--

იხარებათ ბაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ უფასოთიანი მომსახურებით, განათავსეთ ბაზეთში განსხვავებული რაკლამები, მიღობვაში. ოჯახის სამეგრელოში განსხვავებული მიღობვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქალი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორგანიზაციის, სურათიანი განსხვავებული: სამეგრელოში - 15 ლარი, მიღობვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რაკლამა: მესამე გვერდზე - მთლიანი გვ. (100სმ2)-150 ლარი, ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი; მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რაკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე, ბოლოში - სამჯერ ძვირია ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რაკლამის ღირებულება ორგანიზაციის მრავალჯერად რაკლამებზე და ხელმოწერაზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. ბაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოსაქმის ოფისს. ქ. ფოთი, ნმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17.

თეატრალური თქვენი პრობლემების კვალდაკვალ

ნიმნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.